პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 132 (2852) ● ოთხშაბათი, 7 ივლისი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

◆ **ბლედი.** ტალ—პორტიშის ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის VI პარტია დამთავრდა ყაიმით.

◆ **ფხენიანი, 6 ივლისი.** სსრ კავშირის ჩემპიონებმა კალათბურთში — რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ქალთა გუნდმა დაამთავრა ტურნე კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ბოლო მატჩი მათ მოუგეს სახალხო არმიის კალათბურთელებს — 53:51.

◆ **ნიუ-იორკი, 6 ივლისი.** როგორც აქ ცნობილი გახდა, მსოფლიოს სამგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ჰოლანდიელი ფიგურისტი ქალი ს. დიიქსტრა გამოვა პროფესიულ რევიუში „ჰოლიდეი ონ აისში". მისი დებიუტი შედგება 1 სექტემბერს ნიუ-იორკის დახურულ სტადიონ „მედისონ სკვერ-გარდენში".

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

3-ქულიანი „დისტანცია" ძალაში რჩება

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 6 ივლისი.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 1:1 (0:0).

„ტორპედო": კავაზაშვილი, ანდრეიუკი, შუსტიკოვი (ბრედნევი), მარუშკო, სარაევი, ვორონინი, ბატანოვი, სოლოვიოვი, სტრელცოვი, შჩერბაკოვი, სერგეევი.

„დინამო": კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი (მეტრეველი), დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

მოსკოვი (ტელეფონით). ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს თბილისის „დინამოსა" და გათამაშების ლიდერ მოსკოვის „ტორპედოს" „ცუდი მასპინძლობა" გაუწია დედაქალაქის ცენტრალურმა სტადიონმა — მოედნის თითქმის ყველა მონაკვეთი წყლის გუბეებით იყო დაფარული (გადაუღებლად წვიმდა მთელი წინაღამისა და დღის განმავლობაში. რაც მთავარია, არც მატჩის მსვლელობისას გადაუღია წვიმას). მაგრამ ჩვენი ქვეყნის წამყვანი გუნდების სასახელოდ უნდა აღვნიშნო, რომ სტადიონის ტრიბუნების მშრალ ადგილებზე მოკალათებულ მხოლოდ 30 ათასამდე მაყურებელს დიდი სიამოვნება განაცდევინა ტემპიანმა, გააზრებულმა და კორექტულმა თამაშმა. აქვე მინდა ვთქვა ერთი მეტად თვალშესახები ჭეშმარიტება — მღვრიე წყლით შეკმაზულ მწვანე მინდორზე „მომუშავე" 22 ფეხბურთელთაგან განსაკუთრებით „მშრალად" გრძნობდა თავს თბილისელი გ. სიჭინავა, რომელიც დამძიმებულ და ყოველ წუთს ასასხლეტად გამზადებულ ბურთს აიძულებდა შეესრულებინა ის მოძრაობანი, რასაც თვით მოისურვებდა.

მწვრთნელებმა მოედანზე არ გამოიყვანეს არც ს. მეტრეველი (თბილისი) და არც ვ. ივანოვი („ტორპედო"), მაგრამ როგორც შემდეგში გამოირკვა, თბილისელთა მწვრთნელს ეს დაგეგმილი ჰქონია მხოლოდ 45 წუთით, ხოლო მოსკოველთა მწვრთნელს კი — 90 წუთით. არ ვიცი რამ გამოიწვია მეტრეველის პირველ ტაიმში მაყურებლის როლში ყოფნა, მაგრამ პირადად ჩემი დასკვნა ასეთია — მეტრეველის გუშინდელ მატჩში მთლიანად 90 წუთით თავის ბიჭებში თამაში ალბათ ნამდვილად შეამცირებდა ჩემპიონსა და ლიდერს შორის 3-ქულიან დისტანციას და მინიმუმამდე დაიყვანდა მას.

შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 0:0. აღნიშნული ანგარიში ნამდვილად გამოხატავს გუნდების ტოლფარდოვან ბრძოლას პირველ ტაიმში. მაგრამ მეორე ტაიმის კვლავ საყაიმო ანგარიში კი (1:1) აღარ შეესაბამება იმ შეფარდებას, რაც აშკარად შეიმჩნეოდა. თბილისელები თითქმის მთელი 45 წუთის განმავლობაში ფლობდნენ თამაშის სადავეებს. თუ მოსკოველთა კარში გატანილ გოლში (იგი გაიტანა მეტრეველმა) დამნაშავენი არიან ბატანოვი და მეკარე კავაზაშვილი, ამას ვერ ვიტყვით თბილისელთა კარში გასულ გოლზე, სადაც „დამნაშავის" როლში გამოვიდა ვორონინი, რომლის მიერ ოსტატურად შესრულებულ საჯარიმო დარტყმაში, რომელსაც გოლი მოჰყვა, არც თბილისელთა 7-კაციანი „კედელი" იყო დამნაშავე და არც მეკარე კოტრიკაძე.

ამრიგად, ჩემპიონსა და ლიდერს შორის 3-ქულიანი დისტანცია ძალაში დარჩა.

ა. ხომიჩი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

„ა" ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

პირველი ჯგუფი ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 7 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო" (მოსკოვი)	11	7	3	1	19—5	17
ცსკა	11	6	4	1	16—4	16
„დინამო" (მინსკი)	11	5	4	2	11—4	14
„შახტიორი" (დონეცკი)	11	5	4	2	16—11	14
„დინამო" (თბილისი)	11	5	4	2	15—10	14
„სპარტაკი" (მოსკოვი)	11	5	3	3	12—7	13
„დინამო" (კიევი)	10	4	4	2	11—7	12
სკა (როსტოვი)	10	3	5	2	11—10	11
„დინამო" (მოსკოვი)	11	3	4	4	12—11	10
„ზენიტი" (ლენინგრადი)	11	3	4	4	12—11	10
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	10	4	2	4	11—12	10
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	11	3	3	5	15—18	9
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	10	3	3	4	12—15	9
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	11	4	1	6	9—13	9
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	10	2	4	4	9—15	8
სკა (ოდესა)	10	0	2	8	2—19	2
„ტორპედო" (ქუთაისი)	10	1	0	9	2—23	2

მინსკი, 6 ივლისი. ადგილობრივი „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორის" მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

პარიზში გამართულ მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე შესანიშნავი წარმატება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა, ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონმა გ. გოროხოვამ, რომელმაც უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გერმანელი შმიდტი, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი უნგრელი რეიტო, ამავე ოლიმპიადის პრიზიორი იტალიელი რანიო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. აღსანიშნავია, რომ გ. გოროხოვამ ფინალში მოიპოვა 4 გამარჯვება და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა რუმინელ იენჩიკთან.

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი გ. გოროხოვა.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

✦ როცა სული ახალგაზრდაა...

დესნაზე სწრაფად მისრიალებს სკუტერი. იგი აკეთებს ვირაჟებს, იცვლის მიმართულებას. ნავის ასეთი მართვა მხოლოდ ღონიერ ჭაბუკს თუ შეუძლია. მაგრამ აი, სპორტსმენი ნაპირზე გადმოდის და... თეთრ წვერს ისწორებს. დიახ, ეს ცნობილი პაპაა — სპორტსმენი მენსკის რაიონ სოფელ მაკოშინოდან ალექსანდრე იოსების ძე ტიმოფეევი. იგი 84-ე წელში გადავიდა. მაგრამ ძნელად თუ ნახავთ უკრაინაში ადამიანს, რომელსაც ასე გზნებით უყვარს მოსრიალე ნავები და ასე ოსტატურად შეუძლია მათი აგება.

ტიმოფეევი სპეციალობით რკინიგზის მეკავშირეა. მან ჯერ კიდევ ჭაბუკობისას — 70 წლის წინათ — დაიწყო ნავების აგება. მისი ნავები უნახავთ ბერიოზინაზე, დნეპრზე, სოჟზე, ტრიპიატიზე, დესნაზე — ყველგან, სადაც კი მას მუშაობა მოხდენია.

სკუტერმა კი მასში რაღაც აზარტი გამოიწვია. პირველად ალექსანდრე ტიმოფეევი ქარხნის ნაკეთებ ნავებზე ცურავდა. და მას მუდამ ეჩვენებოდა, რომ ამ ნავებს რაღაც აკლია. ბოლოს თვითონ დაიწყო პროექტების შედგენა და ახალი მოდელების აგება. წლევანდელ გაზაფხულზეც კი ჩაუშვა მდინარეში ახალი სკუტერი.

სიგელები, დიპლომები, პრემიები... ისინი ბლომად მიიღო საწყლოსნოსამოტორო სპორტის ენთუზიასტმა. ამასთან, რამდენი ჩინებული სპორტსმენი აღზარდა! აი, მისი ერთ-ერთი უკანასკნელი მოსწავლე, მაკოშინოელი ინჟინერი კლავდია კუზნეცოვა — იგი უკვე ოლქის ჩემპიონია და ამჟამად რესპუბლიკური პირველობისთვის ემზადება, იმედი აქვს, რომ ალექსანდრე ტიმოფეევის ახალი სკუტერი აღრინდელებზე უფრო სწრაფად გააქანებს.

სოფლად სკუტერისტთა მთელი გუნდია შექმნილი. ალექსანდრე ტიმოფეევმა სპორტის ამ სახეობით დააინტერესა თავისი შვილი, საყოფაცხოვრებო კომბინატის მექანიკოსი ბორისი და შვილიშვილი — II-კლასელი მოსწავლე ნიკოლოზი. ისინი ახლა ჩინებულად ცურავენ და თვით მასწავლებელსაც არ უთმობენ.

ალექსანდრე ტიმოფეევის ბინა დესნაზე საკონსულტაციო სახლს ჰგავს. აქ რჩევა-დარიგების მისაღებად მოდიან საწყლოსნო სპორტის მოყვარულები უკრაინის სხვადასხვა რაიონიდან. მასპინძელიც სიამოვნებით ეხმარება ახალგაზრდობას, უგზავნის მათ ნახაზებს, ურჩევს შესატყვის მასალას მოტორიანი ნავების ასაგებად.

ვეტერანის ნაბიჯები მსუბუქია, ტანი — მოყვანილი, მოძრაობა — ენერგიული. პენსიონერი ამბობს, რომ კეკლუცი დესნა და სწრაფმავალი ნავები მას ახალგაზრდულ ფრთებს ასხამენ.

ნ. რომანიკი,

ჩერნიგოვის ოლქი.

✦ ბრიგადის თასი

მეშახტეთა კოლექტივების სპორტულ ასპარეზზე ახალი პრიზი — ს. ვოროტნიკოვის ბრიგადის სახელობის ბროლის თასი გამოჩნდა.

ტრესტ „კომუნარსკუგოლის" კოსიორის სახელობის მაღაროს ეს ბრიგადა დონბასში ყველაზე მეტ ქვანახშირს იღებს. მან გამოიყენა ჩქაროსნული მეთოდი, რომელსაც ახლა აუზის საქვანახშირო რაიონების ყველა უბანში იყენებენ.



ნოვატორთა პრიზი მიეკუთვნება ფრენბურთელთა საუკეთესო გუნდს. მისი პირველი მფლობელები გახდნენ ქალაქ პერევალსკის სპორტსმენები.

ლუგანსკი.



ძმები ზნამენსკების მემორიალზე, რომელიც ამ დღეებში მინსკში მოეწყო, შესანიშნავი შედეგი აჩვენა საბჭოთა სპორტსმენმა ი. ლუსისმა, რომლის მიერ ნატყორცნი შუბი 85 მეტრსა და 62 სანტიმეტრზე დაეცა. ასევე წარმატება ხვდა წილად ცნობილ კუბელ სპრინტერს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს ე. ფიგეროლას, რომელმაც შესანიშნავ დროში (10,2 წ) დაფარა 100-მეტრიანი დისტანცია და მოიპოვა პირველი ადგილი.

სურათებზე თქვენ ხედავთ ზნამენსკების მემორიალზე გამარჯვებულ სპორტსმენებს ი. ლუსისს (მარცხნივ) და ე. ფიგეროლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მწვრთნელები

ოსტატთა ცვლის აღმზრდელი

მისი სახელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდების წარმატებებთან. და არა მარტო დაკავშირებული: იგი ორგანიულად იყო შერწყმული ამ კოლექტივების ყოველდღიურ საქმიანობასთან, მათ ცხოვრებასთან.

სულიკო თორთლაძე კალათბურთის გულშემატკივართა მეხსიერებაში ღრმა და დაუვიწყარი კვალია. სულიკო თორთლაძე ქუთაისისა და თბილისის დინამოელთა მრავალი წლის მძაფრი და მიმზიდველი ბრძოლის არტერიაა. სწორედ ამიტომ, მისი სპორტული ბიოგრაფიის ყოველი ფურცელი ქართული კალათბურთის ისტორიის ერთგვარ დამატებას წარმოადგენს.

... ეს იყო დიდი სამამულო ომის დღეებში. 1943 წელს ქუთაისის „დინამომ" საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ კი მან გაიმეორა ეს წარმატება, რითაც ცხადყო, რომ რესპუბლიკაში უძლიერესი გუნდის სახელს სამართლიანად ატარებდა. ქუთაისელთა წარმატების ამბავმა მოსკოვამდე მიაღწია. და რადგან საქართველოს ჩემპიონობა უკვე თავისთავად კარგი რეპუტაციის მომასწავებელი იყო, „დინამოს" ცენტრალურმა საბჭომ გუნდის I ჯგუფში ჩარიცხვის საკითხი აღძრა.

ქუთაისის „დინამო" ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად მოსკოვს გაემგზავრა. და მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: სპორტული სამყაროსთვის უცნობმა გუნდმა დაამარცხა საბჭოთა კალათბურთის ორი აღიარებული ლიდერი მოსკოვის „ლოკომოტივი" (ორჯერ) და „დინამო". გზად ქუთაისელები კიევის კალათბურთელებს ესტუმრნენ და იქაც წარმატებას მიაღწიეს. აი, სწორედ მაშინ გაიგეს პირველად დიდი კალათბურთის კულუარებში ო. ქორქიას, ა. და შ. მესხების, შ. ქორქაშვილის, ჯ. ნიჟარაძის, დ. სირბილაძისა და სხვათა სახელები. აი, სწორედ ამ დროს იხილეს პირველად სულიკო თორთლაძის მგზნებარე და თავგამოდებული თამაში. ნიადაგი ყოველმხრივ მომზადებული აღმოჩნდა და ქუთაისის „დინამო" კალათბურთელთა იმდროინდელი დიდი ფორუმის მონაწილეთა სიაში ჩაირიცხა.

1944 წლის საკავშირო პირველობაზე დებიუტანტი IV ადგილს იკავებს. ერთი წლის შემდეგ კი იგი 8 ქალაქის ტრადიციული სამატჩო ტურნირის მონაწილეა კაუნასში.

ლიტვაში კალათბურთი ყოველთვის პრივილეგირებულ სპორტად ითვლებოდა და მაყურებელთა ინტერესი საკავშირო შეჯიბრებისადმი აუწერელი იყო. მაგრამ კაუნასში არ იცოდნენ, რას ნიშნავდა ქუთაისი (იგი ზოგიერთებს სპორტსაზოგადოების სახელწოდება ეგონა), ამიტომ აფიშებში ეს ქალაქი საერთოდ არ იყო მოხსენებული.

ტურნირი ლენინგრადისა და კაუნასის ქალთა კოლექტივების თამაშით გაიხსნა. ლენინგრადელთა უპირატესობა ამ შეხვედრაში დიდი იყო და მათ მოიგეს ბრძოლა (თუ კი ამას ბრძოლა შეიძლება ვუწოდოთ) — 73:3. ასეთი სამარცხვინო წაგებით გულნატკენი მასპინძლები ლენინგრადის ვაჟთა გუნდის დამარცხებაშიღა ხედავდნენ რაღაც შვებას. მაგრამ ქუთაისელთა წარმატების იმედი მათ არ ჰქონდათ:

— რაღა დებიუტანტთან თამაშობენ პირველ მატჩს ლენინგრადელები, — ნაღვლობდნენ ისინი, — ნეტავ რომელიმე ძლიერ გუნდს შეხვედროდნენ?!

... დებიუტანტმა კი ისეთი ბასრი კლანჭები გამოაჩინა, რომ გამოცდილი და მაღალი კლასის კოლექტივი სამარცხვინოდ გაანადგურა — 61:27. ამ და კიდევ სხვა გამარჯვებების წყალობით ქუთაისის გუნდმა ტურნირში III საპრიზო ადგილი დაიკავა და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. იმ ხანებში ჩვენი კალათბურთელების ავტორიტეტი და პოპულარობა ლიტვის დედაქალაქში განუზომლად ამაღლდა.

1945 წლის ზაფხულიდან ქუთაისელთა ორი წამყვანი მოთამაშე — სულიკო თორთლაძე და შოთა ქორქაშვილი — თბილისში გადმოდის, შემდეგ კი მათ კვალს მიჰყვნენ ოთარ ქორქია, ალეკო მესხი და ჯუმბერ ნიჟარაძე. საქართველოს დედაქალაქში თავს იყრის ქართული კალათბურთის მთელი ძალები. თბილისის არმიელთა ძლიერი კოლექტივის გვერდით ადგილს იკავებს „დინამოს" ახალგაზრდული გუნდი.

სულიკო თორთლაძე „დინამოს" ყველა პირველი წარმატების სული და გული იყო. იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონია და თასის ორგზის მფლობელი. მაგრამ 1951 წელს მან თავი მიანება სპორტს და მშობლიურ ქუთაისში ახალგაზრდა კალათბურთელთა აღზრდას მიჰყო ხელი.

ეს არის ოსტატის მეორე ცხოვრება და მისი დღევანდელი მოწოდება. ახალგაზრდობის სპორტსკოლის დირექტორი და ბავშვთა სპორტსკოლის უფროსი მწვრთნელი თავის გარშემო ნიჭიერ, პერსპექტიულ კალათბურთელებს იკრებს და ოსტატთა გუნდებს ღირსეულ ცვლას უმზადებს. ქუთაისის სპორტულ ორგანიზაციებში ფეხადგმული სპორტსმენები წარმატებით იცავენ ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო გუნდების — „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" ღირსებას. სულიკო თორთლაძის „ლაბორატორიამ" არა ერთი და ორი ნიჭიერი ოსტატი აღზარდა, რომელთა შორის გამოირჩევიან: ჯ. მერკვილაძე, მ. ხაჭაპურიძე, ც. და ნ. ჩოგოვაძეები, ზ. მხეიძე, რ. გოგელია, ა. საკანდელიძე.

მწვრთნელს, პედაგოგსა და ახალგაზრდა თაობის დიდ მეგობარს ამაგი დაუფასდა. მისი მოწაფე, თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი წევრი ზ. საკანდელიძე სსრ კავშირის ნაკრებშია შეყვანილი, ხოლო ქუთაისის მე-17 სკოლის X-კლასელი მ. ქორქია — სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი: სულიკო თორთლაძეს სწამს, რომ იგი ახალ საკანდელიძეებსა და ქორქიებს აღუზრდის ქართულ კალათბურთს.

ნ. ახვლედიანი.

სარბიელი, სპორტსმენი, შეჯიბრები

ძალოსნობა

პროფკავშირთა სპარტაკიადა

საპრიზო ადგილები: მჩატე წონა — 1. მ. პართენაძე („ბურევესტნიკი"), 2. ა. კირაკოსიანი („სპარტაკი"), 3. ა. პაპესმედოვი („ბურევესტნიკი").

ქვემსუბუქი წონა — 1. დ. შანიძე („განთიადი"), 2. ა. სურმანიძე („კოლმეურნე"), 3. რ. დათიკაშვილი („განთიადი").

მსუბუქი წონა — 1. გ. კამალოვი („ლოკომოტივი"), 2. დ. ჯეირანოვი („კოლმეურნე"), 3. ნ. კოსოვი („სპარტაკი").

ქვესაშუალო წონა — 1. ვ. სვინჩენკო („ბურევესტნიკი"), 2. შ. კაცობაშვილი („განთიადი"), 3. ა. ნალბანდიანი („ბურევესტნიკი").

საშუალო წონა — 1. გ. კოჩიევი („სპარტაკი"), 2. ო. დემუროვი („ბურევესტნიკი"), 3. დ. ქათამაძე („განთიადი").

ქვემძიმე წონა — 1. ზ. პაპიძე („კოლმეურნე"), 2. კ. ბაზაძე („განთიადი"), 3. ო. ზუმბურიძე („ბურევესტნიკი").

მძიმე წონა — 1. ა. ჭეჭელავა („კოლმეურნე"), 2. დ. მუშკუდიანი („განთიადი"), 3. დ. შავოშვილი („ბურევესტნიკი").

ზემძიმე წონა — 1. გ. სანიკიძე („განთიადი"), 2. ა. ხვედელიძე („ბურევესტნიკი"). ამ წონაში მხოლოდ ორი სპორტსმენი გამოდიოდა.

გუნდური ჩათვლა: სპორტსაზოგადოებებს შორის — 1. „განთიადი", 2. „ბურევესტნიკი", 3. „კოლმეურნე". ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის — 1. სპორტკლუბი „გამარჯვება", 2. სპი, 3. სპორტკლუბი „სინათლე". საერთო გუნდური შედეგები: — 1. „განთიადი" 2. „ბურევესტნიკი", 3. „სპარტაკი".

მაგიდის ჩოგბურთი

ქალთა ერთეულები: 1. ს. პარფინიდი („ბურევესტნიკი"), 2. ა. სულიაშვილი („სპარტაკი"), 3. ჟ. ხურშუდიანი („ბურევესტნიკი").

ვაჟთა ერთეულები: 1. ა. არუთინოვი („სპარტაკი"), 2. ა. აბრამიანი („ბურევესტნიკი"), 3. თ. რამაზაშვილი („ბურევესტნიკი").

ქალთა წყვილები: 1. ჟ. ხურშუდიანი, ს. პარფინიდი (ორივე — „ბურევესტნიკი"), 2. ი. ჩერკაშინა, ნ. მეტრეველი (ორივე—„ლოკომოტივი"), 3. ა. სულიაშვილი („სპარტაკი"), ბ. პერელმანი („ბურევესტნიკი").

ვაჟთა წყვილები: 1. თ. რამაზაშვილი, ნ. ჯაფარიძე (ორივე — „ბურევესტნიკი"), 2. ვ. ჭელიშვილი („ბურევესტნიკი"), თ. წულაია („სპარტაკი"), 3. ა. აბრამიანი („ბურევესტნიკი"), ა. არუთინოვი („სპარტაკი").

შერეული წყვილები: 1. ს. პარფინიდი, თ. რამაზაშვილი (ორივე—„ბურევესტნიკი"), 2. ა. სულიაშვილი, ა. კოსინკინი (ორივე — „სპარტაკი"), 3. ა. არუთინოვი, ლ. ავდალიანი (ორივე — „სპარტაკი").

გუნდური ადგილები: 1. „შრომითი რეზერვები", 2. „ბურევესტნიკი", 3. „განთიადი", 4. „სპარტაკი", 5. „ლოკომოტივი".

ფიზკულტურის კოლექტივებში

„წვრილმანები", რომლებიც წარმატებას ჩრდილავენ

თბილისის საავეჯო კომბინატის მიერ გამოშვებულ პროდუქციას არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ კავშირშიც კარგად იცნობენ. მომხმარებელი მარჯვენას უქებს თბილისელ მეავეჯეებს და სხვებთან ერთად ეს ქება ანზორ დიომელაშვილსაც ეხება.

როცა ანზორი კომბინატში მივიდა, იქაური სპორტული ცხოვრება ულიმღამო იყო. ენთუზიასტი სათავეში ჩაუდგა ფეხბურთელთა გუნდს. მერე ის ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარედაც აირჩიეს. ძნელი იყო ყველაფერს გაძღოლოდა, ამიტომაც აქტივი (ვ. ჯიბლაძე, ე. ბადრიძე, მ. სხირტლაძე, ა. ტიმოფეევი, ს. გუსაკოვი) შემოიკრიბა.და აი, გაჩაღდა საქმიანობა... თანდათან დაკომპლექტდა გუნდები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ტყვიით სროლაში, ჭიდაობასა და ახლა ფიზკულტურელთა კომუნისტური შრომის ბრიგადაც კი ჰყავთ, რომელსაც ზეინკალი, სპორტის ოსტატი ვ. ჯიბლაძე ხელმძღვანელობს. მისი ბიჭები გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ.

მეავეჯეებს უყვართ თავიანთი საქმე, სჯერათ მისი მომავლისა. ამიტომაცაა, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ გულდაგულ რომ მუშაობენ კომპლექსური სპორტული მოედნის მშენებლობაზე. იგი აქაურ ფიზკულტურელებს შესძენს კალათბურთის, ფრენბურთის (2), ხელბურთისა და ჩოგბურთის კეთილმოწყობილ სათამაშო სარბიელს.

მნიშვნელოვანია მეავეჯეთა წარმატება შედარებით დიდ ასპარეზზეც. მოჭიდავეებს, ტყვიით მსროლელებს, მოჭადრაკეებს, მაგიდის ჩოგბურთელებს, კალათბურთელებს არა ერთი გამარჯვება მოუპოვებიათ საქალაქო შეჯიბრებებში, კომბინატის ფეხბურთელებმა კი შარშან I ადგილი დაიკავეს საქართველოს სატყეო მეურნეობის პროფკავშირების თასის გათამაშებაში. მათ დაამარცხეს ახმეტის, ცხინვალის, ზუგდიდისა და სამტრედიის გუნდები.

ერთი სიტყვით, თბილისელ მეავეჯეებს აქვთ ისეთი რამ, რითაც შეუძლიათ თავი მოიწონონ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის აღმავლობისთვის გასაკეთებელი აღარაფერია. პირიქით, წარმატებებს ნაკლოვანებებიც ახლავს. უკვე ორი წელია ავარიულ მდგომარეობაშია საჭიდაო დარბაზი, მის შეკეთება-აღდგენას კი საშველი არ დაადგა. აქ ჩამორჩნენ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაშიც. წელს ამ მხრივ ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებიათ.

კარგი იქნებოდა მეავეჯე ფიზკულტურელებს ეს „წვრილმანებიც" გაეთვალისწინებინათ.

ფ. კვირიკაშვილი.

„ლელოს" წერილების კვალდაკვალ

„სტადიონი ბოსლად აქციეს"

ჩვენი გაზეთის ა. წ. 29 აპრილის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში ნათქვამი იყო, რომ ხობში ერთ დროს არსებობდა ფეხბურთის სათამაშო მინდორი, მაგრამ შემდეგ იგი სპორტსმენებს წაართვეს და ბოსლად აქციეს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის მდივანი ა. წურწუმია გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. მიღებული ზომების შედეგად მინდორი კეთილმოწყობილია — შეკეთდა ფეხბურთელთა გასახდელი და მსაჯთა ოთახები, მაყურებელთათვის დაიდგა დასაჯდომები, გაყვანილია რადიო და ელექტროხაზები, სტადიონი დაცულია კაპიტალური კედლით. კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდება.



საგულისხმო ნაპოვნი

ვინც ოდნავ მაინც არის ჩახედული ჭიდაობის ისტორიაში, მიხვდება, რომ ამ სურათზე აღბეჭდილია ორი გოლიათი, ქართული ჭიდაობის ორი უბადლო ოსტატი — კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა.

კარგად დააკვირდით სურათს: მარცხნივ ნესტორ ესებუაა, მარჯვნივ — კულა გლდანელი. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, რა უჩვეულოდ ლამაზი, ათლეტური აღნაგობისა იყო ნესტორი. სხეულის ყოველი ნაკვთი იმდენად უნაკლოა, გეგონებათ მოქანდაკეს გამოუკვეთიაო. ასეთად დარჩა ნ. ესებუა სიბერეშიც, რისი მოწმეც ამ სტრიქონების ავტორია.

კულა გლდანელი... ვის არ ახსოვს ქართული ჭიდაობის ეს გოლიათი. ამ სურათზე კულა ყირმელაშვილი (მოგეხსენებათ, გლდანელი ზედმეტსახელი იყო) ოდნავ ჩასუქებული ჩანს, მაგრამ ტანად ახოვანი, წარმოსადეგია. ფოტოგრაფს სახელდახელოდ დაუყენებია ორი ფალავანი და ისე გადაუღია სურათი.

ახლა თვით სურათის შესახებ. ქალაქ ცხაკაიაში არის ცნობილი ფოტოგრაფი დავით ნიკურაძე, რომელიც ძველ ფოტოსურათებს აგროვებს და იცავს. სწორედ მას მიუკვლევია ეს სურათი ცხაკაიას რაიონის სოფელ გეჯეთში, სევერიანე კუპრეიშვილის ოჯახში.

ს. კუპრეიშვილს ოდესღაც ქუთაისში უმუშავია — საკონდიტრო საქმის სპეციალისტი იყო. ამჟამად იგი ღრმა მოხუცია. სურათი მას სწორედ ქუთაისში უშოვნია, იმ პერიოდში, როცა იქ კულა გლდანელი იყო ჩასული საჭიდაოდ. ასეა თუ ისე, ჯერჯერობით უცნობმა ფოტოგრაფმა ეს საინტერესო სპორტული რელიქვია დაგვიტოვა, რათა დღეს წარსულის სახელოვანი სპორტსმენების სახე გვეხილა.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ქუთაისელთაგან ვინმე, ვინც ამ სურათის ისტორია დეტალურად იცის, გამოეხმაურება ჩვენს წერილს და ვრცლად გადმოგვცემს მასთან დაკავშირებულ საინტერესო ამბებს.

ბ. მილიუტინი.

ქ. ცხაკაია.

ახალი ამბები

● გლედი, 6 ივლისი. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის ტალ—პორტიშის მეოთხედფინალური მატჩის VI პარტია და ივკოვ—ლარსენის ორთაბრძოლის წინადღით გამოტოვებული V პარტია.

ორივე შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა. ტალს მცირე უპირატესობა აქვს, ხოლო მეორე წყვილის პარტიაში მდგომარეობა თანაბარია.

● პარიზი, 6 ივლისი. ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონატის რაპირისტ ვაჟთა გუნდურ ასპარეზობაში შესანიშნავად იბრძოდნენ საბჭოთა სპორტსმენები (გ. სვეშნიკოვი, ი. შაროვი, მ. მიდლერი, ვ. პუტიატინი). მათ დაამარცხეს რუმინეთის, უნგრეთის, იაპონიის ძლიერი გუნდები და ფინალში ძლიეს პოლონეთის გუნდს — 9:3. ჩვენი მოფარიკავეები მეშვიდედ დაეუფლნენ ჩემპიონის ოქროს მედლებს.

● ვაშინგტონი, 5 ივლისი. საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა ყრუ-მუნჯთა ოლიმპიური თამაშები. ოქროს 29 მედალი — ასეთია საბჭოთა სპორტსმენების ნადავლი. უახლოს მეტოქეებს აშშ-ის, იტალიის და პოლონეთის სპორტსმენებს 9-9 უმაღლესი ჯილდო აქვთ. საბჭოთა გუნდის გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს მძლეოსნებმა. სამჯერ ავიდნენ გამარჯვებულის უმაღლეს საფეხურზე ვ. დემანოვი და ა. ბოიცოვი. პირველმა მოიგო სპორტულ სიარულში სამივე დისტანცია, ხოლო მეორემ გაიმარჯვა 5,10 და 25 კმ-ზე რბენაში. ამანათრბენში 4×100 მ საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა 49 წამი აჩვენეს და თავიანთივე მსოფლიო რეკორდი 0,6 წამით გააუმჯობესეს. 4×400 მ ამანათრბენში სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა გაიმარჯვა (3.17,6). ფეხბურთელთა ტურნირში უძლიერესები იყვნენ იუგოსლავიელები, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს დიდი ბრიტანეთის სპორტსმენები.

● ბელგრადი, 6 ივლისი. აქ სტუმრად იმყოფებიან მოსკოვის „ბურევესტნიკის“ წყალბურთელები. მათ პირველი მატჩი გამართეს ადგილობრივ „სლავია გვეზდას“ სპორტსმენებთან. გაიმარჯვეს საბჭოთა წყალბურთელებმა — 4:2.

● კიევი, 5 ივლისი. აქ შედგა უჩვეულო მატჩი ფეხბურთში. სტადიონზე მომსვლელები შედიოდნენ... 1941 წლის 22 ივნისის შტამპის ბილეთებით. ამ დღეს უნდა ჩატარებულიყო კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის ცსკა-ს მატჩი. მაგრამ სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით მატჩი არ შედგა. და, აი, 24 წლის შემდეგ გაყვითლებული ბილეთებით ხელში მაყურებლები დაესწრნენ მატჩს მოსკოვისა და კიევის ვეტერან ფეხბურთელთა შორის. მოსკოველთა რიგებში იყვნენ: სოლოვიოვი, სტანკევიჩი, ნეტო, ისაევი და სხვ. კიეველთა სპორტულ ღირსებას იცავდნენ—ბალაკინი, ტერენტიევი, კომანი, ფომინი და სხვ. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 8:1. ბურთები გაიტანეს მოსკოველთაგან — ისაევმა (2) და ბელიაევმა, კიეველთაგან — ფომინმა.

● აახენი, 5 ივლისი. აქ მიმდინარეობს საერთაშორისო შეჯიბრება ცხენოსნობაში, რომელშიც 21 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ. დიდი პროგრამის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა იყო ასპარეზობა დაბრკოლებათა გადალახვაში — „ჩემპიონთა კონკურსი“, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ ოლიმპიური, ევროპისა და ცალკეული ქვეყნების ჩემპიონები. მხედრებს უნდა გადაელახათ 14 დაბრკოლება ორი რთული სისტემით. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ე. შაბაილომ (საბჭოთა არმიის სპორტული კლუბი). იგი შეჯიბრების ერთადერთი მონაწილე აღმოჩნდა, რომელმაც საჯარიმო ქულების გარეშე განვლო დისტანცია. II ადგილზე გამოვიდა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფრანგი დორიოლა.

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი

გუშინ...

ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედოსა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ დუბლშემადგენლობათა გუნდები.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

„ბ“ კლასი

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის სამ ქალაქში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ჩვენმა კორესპონდენტებმა გვაცნობეს შემდეგი:

რუსთავი. ძალზე სუსტად ჩაატარა ადგილობრივმა „მეტალურგმა“ შეხვედრა სოხუმის „დინამოსთან“. მატჩი წაგებულ იქნა დიდი ანგარიშით — 1:5, რაშიც დანაშაული მთლიანად კოლექტივს მიუძღვის.

პირველ ტაიმში მეკარე ქოჩიაშვილისა და მცველთა შეუთანხმებლობამ სოხუმელებს საშუალება მისცა 2 ბურთი გაეტანათ მასპინძელთა კარში, ხოლო საკუთარში მიეღოთ ერთი.

მეორე ნახევარში დინამოელთა უპირატესობა უკვე აშკარა იყო. მათ დამატებით კიდევ 3 ბურთი გაიტანეს.

ამ მატჩში განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სოხუმელთა ცენტრალური თავდამსხმელი ძოძუაშვილი — 4 გოლის ავტორი. თითო ბურთი გაიტანეს: სოხუმელთაგან — ფიფიამ, რუსთაველთაგან — ხაბეიშვილმა.

გურჯაანი. ადგილობრივი „ალაზნისა“ და ფოთის „კოლხიდას“ შეხვედრა პირველივე წუთებიდანვე უხალისოდ დაიწყო. ანალოგიური იყო მეორე ტაიმიც. 32-ე წუთზე გურჯაანელთა ერთ-ერთი შეტევა თავდამსხმელმა ლეჟავამ გოლით დააგვირგვინა. გაიმარჯვა „ალაზანმა“ — 1:0.

ტყიბული. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეშახტე“ და კაფანის „ლერნაგორცი“.

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და არ შეწყვეტილა იგი ტაიმის ბოლომდე. კაფანელთა კარში გატანილ იქნა ორი ბურთი.

მეორე ნახევარში თამაში გათანაბრდა. მოწინაამდეგეებმა თითოჯერ დაიწყეს ცენტრიდან თამაში. ჯერ სტუმრებმა, შემდეგ კი მასპინძლებმა.

საბოლოოდ გამარჯვება დარჩათ ტყიბულელებს — 3:1.

16 გუნდი იღებდა მონაწილეობას გაზეთ „მებრძოლის“ თასის გათამაშებაში, რომელიც ზუგდიდში მოეწყო. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ინგირის „შევარდენის“ და ნინოშვილის ქუჩის „მთაწმინდის“ ნორჩი ფეხბურთელები. შეხვედრა მოიგო „შევარდენმა“ — 3:1.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცა გაზეთ „მებრძოლის“ გარდამავალი თასი.

სურათზე: გაზეთ „მებრძოლის“ გარდამავალი თასის მფლობელი — ინგირის „შევარდენის“ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ქართველი ტანმოვარჯიშეები საკავშირო ასპარეზზე

„ლელოს“ რედაქციას თხოვნით მიმართა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა ზ. გოგიაშვილმა — მოგვეთხრო ქართველ ტანმოვარჯიშეთა შედეგებზე საკავშირო ჩემპიონატებში. რედაქცია აკმაყოფილებს ამხ. ზ. გოგიაშვილის თხოვნას სპორტის ოსტატ ო. ქორქიას ამ წერილით.

სსრ კავშირის პირველი პირადგუნდური პირველობა ჩატარდა 1928 წლის აგვისტოს, მოსკოვში. ამიერკავკასიის ფედერაციის ტანმოვარჯიშეთა გუნდმა (სადაც ქართველი სპორტსმენებიც გამოდიოდნენ) IV ადგილი დაიკავა. იგივე ადგილი ერგო მას 1932 და 1933 წლებში. 1934 წელს თბილისში ჩატარებულ სსრ კავშირის IV პირადგუნდურ პირველობაში კი ამიერკავკასიის გუნდმა I ადგილი მოიპოვა.

1936 წლიდან საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გუნდი შეჯიბრებებში დამოუკიდებლად მონაწილეობს. 1936, 1938, 1945 და 1946 წლებში ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეები IV ადგილზე არიან. 1947 წელს, თბილისში, გუნდმა II საპრიზო ადგილი დაიკავა, 1948, 1949 და 1950 წლებში — კვლავ IV ადგილი, 1951 წელს — III, 1952, 1953, 1954 წლებში კი — V ადგილი.

ახლა კი პირად შეჯიბრებაზე: 1928 წელს პირველობაში მონაწილეობდნენ მხოლოდ მამაკაცები. გარდა იარაღებისა, შეჯიბრების პროგრამაში შეტანილი იყო სამხედრო-გამოყენებითი სახეობები (სიმაღლეზე ხტომა, 100 მ, 400 მ რბენა 6 დაბრკოლების გადალახვით).

ტანვარჯიშულ იარაღებზე ამ წელს ტოლი არ ჰყავდა გ. რცხილაძეს, მაგრამ დანარჩენ, დამატებით სახეობებში იგი სუსტად გამოვიდა და III ადგილით დაკმაყოფილდა.

ეს კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა ჩვენი ტანმოვარჯიშეებისთვის და შემდეგ წლებში ისინი გაცილებით ძლიერად გამოდიან როგორც ძირითად, ისე დამატებით სახეობებში. **1932 წელს სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა გ. რცხილაძე, ხოლო III ადგილზე გ. ბაბილოძე გამოვიდა.**

1933 წელს I ადგილი კვლავ გ. რცხილაძემ დაიკავა.

1934 წელს გ. რცხილაძემ მესამედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული.

1936 წელს ა. ჯორჯაძემ IV ადგილი დაისაკუთრა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში. უფროსი ასაკის ტანმოვარჯიშეებს შორის (მათი ასაკი განისაზღვრებოდა 38 წლით და ზევით) გამარჯვება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ი. მაჭავარიანმა.

1938 წელს სსრ კავშირის ჩემპიონატის უძლიერეს ათეულში შევიდნენ ა. ჯორჯაძე, გ. ბაბილოძე და ნ. თაყაიშვილი. მათ შესაბამისად VI, VII და IX ადგილები დაიკავეს.

1939 წელს ჩატარდა პირველი საუწყებათაშორისო პირველობა. ამავე წელს პირველად ჩატარდა პირადი პირველობა როგორც მრავალჭიდში, ისე ცალკეულ იარაღებზე. მრავალჭიდში III ადგილი დაიკავა ა. ჯორჯაძემ, ხოლო VII ადგილი — ნ. თაყაიშვილმა. **პირველი ჩემპიონები ცალკეულ იარაღებზე გახდნენ: ძელძზე — ა. ჯორჯაძე, ორძელზე — გ. ბაბილოძე, ხტომებში — ნ. თაყაიშვილი.**

1940 წელს: **ჩემპიონი რგოლებზე — გ. ბაბილოძე.**

1943 წელს: **ჩემპიონი ძელძზე — ა. ჯორჯაძე.**

ვაჟებში 1938 წლის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი სსრ კავშირის ჩემპიონი აღარ ყოფილა მრავალჭიდში. **ცალკეულ იარაღებზე კი ეს ტიტული ზემოაღნიშნული წოდების გარდა მოიპოვა ნ. თაყაიშვილმა: ხტომებში — 1939 წელს, ორძელზე — 1946 წელს, რგოლებზე — 1948 წელს.**

1947 წელს თბილისში ჩატარებულ საკავშირო პირველობაზე ნ. თაყაიშვილმა მრავალჭიდში II ადგილი დაისაკუთრა.

1949 წელს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ძელძზე ვარჯიშში გახდა ა. ჯორჯაძე, ხოლო 1951 წელს იგივე იარაღი მოიგო შ. ჩაჩხიანმა.

ქალთა პირველობა პირველად ჩატარდა ლენინგრადში, 1932 წელს. პირველი ჩემპიონი გახდა ნ. ვოსჩინინა (უკრაინა).

1943 წლამდე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვერც ერთმა ტანმოვარჯიშე ქალმა ვერ შეძლო მრავალჭიდის შედეგების მიხედვით პირველ ათეულში მოხვედრა. 1943 წელს ეს ზღვარი გადალახა თბილისელმა შ. ქოიავამ, რომელმაც VIII ადგილი დაიკავა.

1944 წელს ათეულში ვხედავთ თბილისელ **რ. ზაალიშვილს, რომელმაც 1945 წელს უკვე III ადგილი დაისაკუთრა და სსრ კავშირის ჩემ**

„ლელოს“ პასუხი...

პიონი გახდა ორძელსა და ბჯენით ხტომებში (1944 წელს იგი ჩემპიონი გახდა ძელძზეც).

1946 წელს წარმატებას მიაღწია მზია ჯუღელმა — ჩემპიონი გახდა ბჯენით ხტომებში, ხოლო ძელძზე ეს ტიტული დაიმსახურა რ. ზაალიშვილმა.

1947 წელს რ. ზაალიშვილმა კვლავ III ადგილი მოიპოვა მრავალჭიდში, **ხოლო მ. ჯუღელმა — ჩემპიონის ტიტული ხტომებში.**

1951 წელს, თბილისში, **მ. ჯუღელი საერთო III ადგილზეა, ხოლო ხტომებში მესამედ ისაკუთრებს ჩემპიონის წოდებას. 1952 წელს მ. ჯუღელი კვლავ ჩემპიონი გახდა ხტომებში, ხოლო გ. შარაბიძე — დვირზე ვარჯიშში.** ამავე წელს, **პირადი პირველობის გათამაშებისას მ. ჯუღელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უძლიერესია ხტომებში. 1953 წელს. ლენინგრადში მ. ჯუღელი ხტომების გარდა რგოლებზე ვარჯიშშიც გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი.**

1954 წელს სსრ კავშირის პირადგუნდურ პირველობაზე ათეულში ჩვენი რესპუბლიკიდან არავინ მოხვედრილა (არც ქალთა და არც ვაჟთა შორის). სამაგიეროდ, სოხუმში ჩატარებულ სსრ კავშირის IX პირად პირველობაზე **თავი ისახელეს გ. შარაბიძემ (ქალთა შორის) და ს. ჯაიანმა (ვაჟთა შორის), რომლებმაც საერთო III ადგილები დაიკავეს და ამასთან, ჩემპიონები გახდნენ ხტომებში.** ვ. ასათიანმა II ადგილი მოიპოვა ძელძზე.

1955 წელს ვაჟთა შორის რ. შარაბიძემ II საპრიზო ადგილები დაიკავა ორძელზე და ხტომაში, ს. ჯაიანმა კი — ძელძზე. **ქალთა შორის მ. ჯუღელი კვლავ I ადგილზეა ხტომებში.**

შემდგომ წლებში ქართველი ტანმოვარჯიშეების წარმატებები საკავშირო ასპარეზზე უფერულდება, თუ არ ჩავთვლით რ. კაპანაძის II ადგილს ძელძზე ვარჯიშში, რომელიც მან სსრ კავშირის 1961 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე დაიკავა.

რაც შეეხება საერთაშორისო ასპარეზზე ქართველ ტანმოვარჯიშეთა შედეგებს, იგი ცალკე საუბრის საგანია.

ო. ქორქია,
სპორტის ოსტატი.

სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისში ჩატარებულმა რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ წყლის თხილამურებში. სპორტის ამ მიმზიდველი სახეობის ერთ-ერთი რთული ელემენტია თხილამურებით ხტომა, რომელიც სპორტსმენთაგან დიდ გამბედაობასა და ოსტატობას მოითხოვს.

ჩვენი კორესპონდენტის, ვ. სტოლიაროვის სურათზე სწორედ თხილამურებით ხტომაა აღბეჭდილი, რომელსაც ო. გოცირიძე ასრულებს.

გუშინ...

თბილისის „განთიადის“ საცურაო აუზში საკავშირო პირველობის მონაწილე „ა“ კლასის II ქვეჯგუფის წყალბურთელებმა გამართეს IV ტურის მატჩები. „ტრუდმა“ (მოსკოვის ოლქი) დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი“ — 2:1, კიევის სკა-მ — ფრუნზეს „ისიკ-კული“ — 5:2, ტაშკენტის „მეხნატმა“ — ტალინის „დინამო“ — 4:3. ასეთივე ანგარიშით ალმა-ათის „დინამო“ დამარცხდა სევასტოპოლელ მეზღვაურებთან. ერთნაირი ანგარიშით — 6:1 დამთავრდა ორი შეხვედრა. ლენინგრადის „სპარტაკმა“ მოუგო აფხაზეთის სკა-ს, ხოლო თბილისის „ლოკომოტივმა“ — ერევნის „ბურევესტნიკს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უძლიერესთა შორის უძლიერესნი"



ცნობილმა ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" თავისებურად აღნიშნა იუბილე — მე-1000 ნომრის გამოსვლა. მისმა მიმომხილველებმა ჟ. ფერანმა, რ. მესმერმა, ჟ. ეშკენაზიმ, მ. იურბინიმ და ჟ. კარნუმ გამოაქვეყნეს 1945-65 წლების პერიოდის უძლიერეს ფეხბურთელთა სია მსოფლიოში. აი, როგორ გამოიყურება იგი:

მეკარეები — იაშინი (სსრ კავშირი), ჟილმარი (ბრაზილია), კარიზო (ურუგვაი).

განაპირა მცველები—ნ. სანტოსი, ჯ. სანტოსი (ორივე ბრაზილია), რამსეი (ინგლისი, ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი), ფაკეტი (იტალია).

ცენტრალური მცველები — პაროლა (იტალია), სანტამარია (ურუგვაი), რაიტი (ინგლისი), ჰაპელი (ავსტრია) და ბაუერი (ბრაზილია).

ნახევარმცველები — ბოჟიკი (უნგრეთი), როსი (არგენტინა), ბლენჩფლაუერი (ჩრ. ირლანდია), ზიტო (ბრაზილია) და ოცვირკი (ავსტრია).

გარემარბები — მეტიუზი (ინგლისი), გარინჩა (ბრაზილია), ფინეი (ინგლისი), ლოსტე (ურუგვაი) და ჰამრინი (შვეცია).

შუამარბები — პელე (ბრაზილია), დი სტეფანო (ესპანეთი), სკიაფინო (ურუგვაი), პუშკაში (ესპანეთი) და ლიდჰოლმი (შვეცია).

ამის შემდეგ „ფრანს ფუტბოლმა" შეადგინა ამ პერიოდის ასეთი იდეალური ნაკრები: იაშინი, ჯ. სანტოსი, ნ. სანტოსი, ბოჟიკი, პაროლა, ბლენჩფლაუერი, მეტიუზი, დი სტეფანო, პელე, პუშკაში და ლოსტე.

ფრანგული ჟურნალის ამ კლასიფიკაციამ ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია სპორტულ პრესაში. ბელგრადის „სპორტი" აღნიშნავს, რომ „ფრანს ფუტბოლმა" შედარებით კარგად გაართვა თავი შუამარბების შერჩევას, თუმცა მის წინაშე დიდი სიძნელეები იყო. რა დააშავეს, მაგალითად, ბობეკმა (იუგოსლავია), ჩარლტონმა (ინგლისი), ჰეინსმა (ინგლისი), მონტუორიმ (არგენტინა), სუარესმა (ესპანეთი), ვალტერმა (გფრ), ივანოვმა (სსრ კავშირი), შეკულარაცმა (იუგოსლავია), ეუსებიომ (პორტუგალია), სივორიმ (არგენტინა), მილუტინოვიჩმა (იუგოსლავია), ალბერტმა (უნგრეთი), კუბალამ (ესპანეთი), ბონიპერტიმ (იტალია), ნორდალმა (შვეცია), ტეილორმა (ინგლისი), ჰიდეგკუტიმ (უნგრეთი), ჩარლზმა (უელსი), ზეელერმა (გფრ), ალტაფინიმ (ბრაზილია), ვან ჰიმსტმა (ბელგია), ვუკასმა (იუგოსლავია), გრივსმა (ინგლისი), ლოუმ (შოტლანდია)? დანარჩენ საკითხებში „სპორტი" ედავება „ფრანს ფუტბოლს".

1) ვინ დაამტკიცა, რომ მეკარეები ჟილმარი და კარიზო ჯობდნენ გროშიჩს (უნგრეთი), ბეარას (იუგოსლავია), ზემანს (ავსტრია), შროიფს (ჩეხოსლოვაკია), პერეირას (პორტუგალია)?

2) რითი ჯობიან რამსეი და ფაკეტი შნელინგერს (გფრ), ბირნს (ინგლისი), იუსუფის (იუგოსლავია), მარშს (საფრანგეთი)?

3) განა როსიმ, ბლენჩფლაუერმა და ზიტომ მიაღწიეს ოსტატობის უფრო მაღალ დონეს, ვიდრე ანდრადემ (ურუგვაი), ჩაიკოვსკიმ (იუგოსლავია), ლიდჰოლმმა (შვეცია), ვორონინმა (სსრ კავშირი), მასოპუსტმა (ჩეხოსლოვაკია), ედვარდსმა (ინგლისი) და კოლუნამ (პორტუგალია)?

4) განა პაროლა უფრო ღირსია ამ პერიოდის უძლიერესი ცენტრალური მცველის წოდებისა, ვიდრე ბელინი (ბრაზილია), რაიტი (ინგლისი), ჟერმანო (პორტუგალია), შიპოში (უნგრეთი), ზებეცი (იუგოსლავია) და მალდინი (იტალია). თვით იტალიელებიც ხომ მალდინის ყოველთვის უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე პაროლას.

5) რატომ დაივიწყეს გარემარბები ციბორი (უნგრეთი), ჰენტო (ესპანეთი), ზაგალო (ბრაზილია), მესხი (სსრ კავშირი) და აუგუსტო (პორტუგალია)?

ხუთჭიდის დიდოსტატი

ხუთი ღირსების რაინდები — ასე უწოდებენ ხუთჭიდელებს. მათ საუცხოოდ უნდა იცოდნენ ფარიკაობა, ცურვა, სროლა, რბენა და იყვნენ ძლიერნი ცხენოსნურ კროსში. ათ წელზე მეტია მსოფლიოს უძლიერეს ხუთჭიდელთა სიაში ერთ-ერთი პირველია შესანიშნავი საბჭოთა სპორტსმენი იგორ ნოვიკოვი.

36 წლის ერევნელი მასწავლებელი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია სპორტის ამ ურთულეს სახეობაში და XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში. მისი მთავარი საბრძოლო ღირსებაა ხუთჭიდის ყველა სახეობაში თითქმის თანაბარი ძალით გამოსვლა. 1952 წლის შემდეგ იგი ყოველგვარ ასპარეზობაში ღებულობს მონაწილეობას — ზონალური შეხვედრებიდან მსოფლიო ჩემპიონატებამდე და ოლიმპიადებამდე.

ახლა „ხუთჭიდის დიდოსტატი" კარგ სპორტულ ფორმაშია. იგორ ნოვიკოვი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს მორიგ პირველობაში, რომელიც ლაიპციგში გაიმართება.

ნიჭიერი სპორტსმენი ღირსეული თაობის აღზრდაზეც ზრუნავს. ერევანში მან ნორჩ ხუთჭიდელთა სკოლა შექმნა და თვითონვე წვრთნის ნიჭიერ ბავშვებს.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (ზემოთ) ი. ნოვიკოვი ვარჯიშზე; (ქვემოთ) ი. ნოვიკოვი სომხეთისა და საქართველოს დინამოელთა მძლეოსნური კროსის დისტანციაზე.

ფოტო უნ და-სინისა და გ. ბალდასარიანისა.

საზღვარგარეთის ამბები

სიკვდილის რკალი

სამი წლის წინ დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შტერნმა" გამოაქვეყნა სენსაციური ფოტოსურათი, რომელიც შემდეგ წლის საუკეთესო სპორტულ ფოტოგრაფიად იქნა აღიარებული. სურათზე წარმოსახული იყო ტრადიციული პროფესიული ავტორბოლის მომენტი, ავტორბოლისა, რომელიც ყოველწლიურად იმართება „ნიურნბურგრინგზე" — „ნიურნბურგის რკალზე". როგორც ხშირად ხდება ასეთ შეჯიბრებებში, ერთმანეთს შეეჯახა სამი მანქანა. მოხდა საზარელი კატასტროფა. ფოტოგრაფმა შეძლო ტრაგიკული კადრის აღბეჭდვა. ორი სპორტსმენი სისხლში ცურავს ტრეკზე, მესამე კი ჰაერში მიფრინავს. ყოველ მრბოლელს მინიშნებული ჰქონდა სამი ისარი წარწერებით: „ადგილზევე მოკვდა", „ადგილზევე მოკვდა", „გარდაიცვალა ისე, რომ გონზეც არ მოსულა საავადმყოფოში".

ამ ფოტოს გამოქვეყნებასთან ერთად ჟურნალმა „შტერნმა" ისიც დაწერა, რომ „ნიურნბურგის რკალზე" რბოლები პროფესიონალთა ასპარეზობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახიფათო სახეობაა. ტრასა უჩვეულოდ რთულია, ხოლო ვირაჟების კუთხე იმდენად მკვეთრია, რომ პრაქტიკულად მძღოლს არ ძალუძს იგი უავარიოდ გადალახოს, თუ კი საათში 100 კილომეტრზე მეტი სისწრაფით მიდის. ხოლო პროფესიონალთა საშუალო სისწრაფე, როცა ისინი ყურადღებას არ აქცევენ საფრთხეს, რათა დიდი ფულადი ჯილდო მიიღონ, ხან 180—200 კილომეტრსაც აღწევს საათში. ჟურნალის რეპორტიორმა დამახასიათებელი ციფრები მოიტანა: „ნიურნბურგრინგზე" უკანასკნელ წლებში დაიღუპა — არც მეტი და არც ნაკლები — 14 მრბოლელი. ჟურნალმა მაშინ საკმაოდ მოკრძალებული ფორმით დააყენა საკითხი: „დრო ხომ არ არის აკრძალულ იქნას რბოლები სიკვდილის რკალზე, რომელმაც ამდენი მსხვერპლი მოითხოვა?"

ეს კითხვა კითხვად დარჩა. სიკვდილის რკალზე დღემდე გრძელდება რბოლები. უკანასკნელ ორ წელს 14 დაღუპულს კიდევ ორი მიემატა. ახლახან „ნიურნბურგრინგზე" კვლავ გაიმართა პროფესიული ავტორბოლა 1000 კილომეტრზე. ლუქსემბურგის ჩემპიონი ონორე ვაგნერი მსხვერპლი გახდა ბინძური ტრიუკისა, რომელსაც პროფესიონალები ხშირად იყენებენ თავიანთ მეტოქეთა საწინააღმდეგოდ. ლუქსემბურგელის წინ მქროლავმა ავტომობილმა უხვად დაღვარა ზეთი. ვაგნერის მანქანა მთელი სისწრაფით შეიჭრა ზეთის გუბეში, რამდენჯერმე გადატრიალდა თავისი ღერძის გარშემო და გზიდან გადავარდა. მძღოლი, როგორც თავის დროზე „შტერნი" წერდა, „ადგილზევე მოკვდა". მაგრამ ამჯერად აღარავის დაუწყია ლაპარაკი ავტორბოლის აკრძალვის თაობაზე. მეტიც, გაზეთი „შპორტ დეპეშე" ცინიკურად წერდა: „რას იზამ, თუ კი „ნიურნბურგის რკალზე" სიკვდილი ტრადიციული გახდა, ისევე როგორც თვით ავტორბოლები". დიახ, ქვეყანაში, სადაც საავტომობილო საქმოსნების ბიზნესი ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა დგას, მართლაც და ვერაფერს იზამ!

არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი. სპორტულ წრეებში ასეა ცნობილი ჩოგბურთელთა უიმბლდონის ტურნირი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებს იზიდავს. ახლახან დამთავრებულ ტურნირში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 250-მა სპორტსმენმა.

ვაჟთა ერთეულებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ტოლი არ ჰყავდა ავსტრალიელ რ. ემერსონს.

ავსტრალიელთა გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე ქალთა შეჯიბრებაც. აქ ფინალური მატჩი და მასთან პირველი ადგილი მოიგო მ. სმიტმა.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: (ზემოთ) — მ. სმიტი და რ. ემერსონი — (ქვემოთ).

▲ **ზ ა გ რ ე ბ ი**, 5 ივლისი. ავსტრალია ყოველთვის განთქმული იყო თავისი მოცურავეებით, მაგრამ წყალბურთში იგი არასოდეს ბრწყინავდა. და აი, გამოცდილების მისაღებად ქვეყნის ნაკრები გუნდი ევროპას ეწვია და აქ გამართულ ტურნირში II ადგილი დაიკავა გდრ-ის „ლაიპციგის" შემდეგ.

▲ **ლ ო ნ დ ო ნ ი**, 5 ივლისი. ცნობილი რვიანების — ამერიკულ „ვესპერიისა" და გფრ-ის „რატცებურგის" დავა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ჰენლეის რეგატისა (საბჭოთა ნიჩბოსნები შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ). ოლიმპიური ჩემპიონები შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონებს — „რატცებურგის" სპორტსმენებს, რომლებმაც უკანასკნელ წლებში მხოლოდ ერთხელ წააგეს და ისიც ტოკიოს ოლიმპიადაზე. ინგლისში გერმანელებმა რევანში აიღეს. ტრადიციული რეგატა ინგლისში, როგორც ცნობილია, ჰენლეის ძალზე ვიწრო არხზე მიმდინარეობს. ამიტომ ასპარეზობაში გამარჯვებისათვის ყოველ ცდაზე ორი ნავი მონაწილეობს. პრიზის მოპოვებისათვის საჭიროა მეტოქეების ცალ-ცალკე დამარცხება. ნავების სხვა სახეობებში გაიმარჯვეს: ერთმოსასმელიანში — დონ სპერომ (აშშ), წყვილმოსასმელიანში — მ. შტუდახმა და მ. ბურგინმა (შვეიცარია), ორმოსასმელიანი გასაშლელით — პ. ჰორნიმ და გ. ბერგაუმ (გდრ), ოთხმოსასმელიანებში მესაჭით — ინგლისურმა „ლეანდრმა", ოთხმოსასმელიანებში უმესაჭოდ — ინგლისურმა „კვინტინმა".

▲ **ბრიუსელი**, 5 ივლისი. ცნობილმა დასავლეთგერმანელმა მოთხილამურემ ჰ. ტრაუბმა კვლავ მოიგო მსოფლიო ჩემპიონის წოდება გორგოლაჭიანი ციგურებით ასპარეზობაში და ბელგიაში გამართულ ასპარეზობაში 1000 მეტრზე აჩვენა — 1.57,6, ხოლო 5000 მეტრზე — 10.27,0.

ბილეთების გაყიდვა დაიწყო

ფეხბურთში ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ წელზე მეტი დროა დარჩენილი, მაგრამ უკვე დაიწყო მატჩებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა. ივლისის პირველ რიცხვებიდან ყველა სტადიონის სალარო, სადაც ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება, გაიღო და ფეხბურთის გულშემატკივრებმა უკვე დაიწყეს ბილეთების შეძენა.

ჩემპიონატის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ბილეთები სარეკორდო დროში გაიყიდება. 130 ათასი გირვანქა სტერლინგი მიღებულია უცხოელებისგან; რომლებსაც ბილეთების შეძენის უფლება მიეცათ ნახევარი წლით ადრე. ასეთი რამ არ ყოფილა მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების ისტორიაში.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00706